



საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

25/11/2022

N 479

თბილისი

სს „ნიკორას“ (ს/ნ 200050675) ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებისა და ფასიანი ქაღალდებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის (ფქსსნ) მინიჭების თაობაზე


„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №179/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის“ მე-3 მუხლის მე-8 და მე-13 პუნქტების, „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების, ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის №73/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 28 იანვრის N13/04 ბრძანების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს სს „ნიკორას“ ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი და სს „ნიკორას“ საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილ 35,000,000 (ოცდათხუთმეტი მილიონი) ლარის მთლიანი ნომინალური ღირებულების მქონე ობლიგაციებს მიენიჭოს საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE2700604210.
2. წინამდებარე განკარგულების ამოქმედებიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს სს „ნიკორას“ საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ობლიგაციებისთვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ.

აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ნიკოლოზ გაგუა



ვიცე-პრეზიდენტი

საქართველოს ეროვნული ბანკი

